სახის ემოციის აღქმა ძლიერი შფოთვის მქონე ბავშვებში

ანი ქრისტესიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, კლინიკური ფსიქოლოგია II კურსი

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მალხაზ მაყაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია 8-9 წლის ბავშვებში სახის ემოციის აღქმის საკითხი. ბავშვის საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ურთიერთქმედებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სახის ემოციის აღქმა, რაც გვაძლევს ინფორმაციას პიროვნების ემოციური მდგომარეობის შესახებ.

ადამიანის ემოციური მდგომარეობა ზეგავლენას ახდენს მის მიერ სხვა ადამიანების სახის აღქმაზე. ჩვენ მიზნად დავისახეთ დაგვედგინა, როგორია სახის აღქმის პროცესი ძლიერი შფოთვის მქონე ბავშვებში. ამისათვის შევადარეთ სახის აღქმა 8-9 წლის ბავშვების ორ ჯგუფში: ძლიერი შფოთვის და შფოთვის არ მქონე ბავშვთა ჯგუფებში.

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. ემოციების აღქმა ბავშვებში გამოკვლეულ იქნა KDEF (Karolinska Database for Emotional Faces) სტანდარტული ფოტოების მეშვეობით შედგენილი ტესტის საშუალებით. შფოთვის დონე კი დადგენილი იყო ამენ&დორკის პროექციული ტესტის საშუალებით. ტესტი ჩატარდა „ბაკურ კოტეტიშვილის ფსიქონევროლოგიური კლინიკის“ 80 პაციენტთან.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ შფოთვის დონის მაღალი მაჩვენებლის მქონე ბავშვები ამჟღავნებენ ტენდენციას აღიქვან უცნობი ადამიანების სახე უფრო მეტად სახის ემოციური ექსპრესიის, ვიდრე იდენტობის მიხედვით, ხოლო შფოთვის დაბალი დონის მაჩვენებლის მქონე ბავშვები ამავე სახეების აღქმის დროს უპირატესობას ანიჭებენ იდენტობას. მნიშვნელოვანი იყო იმის აღმოჩენაც, რომ 6-7 წლის ბავშვები (ნაშრომში მოხსენიებული სხვა კვლევის მონაცემებით) სახეებს აღიქვამდნენ ემოციის ექსპრესიის მიხედვით, ხოლო 8-9 წლის ბავშვები იდენტობის მიხედვით.